მსოფლიოს რეგიონალური დიფერენციაცია

რეგიონი ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ურთიერთობის მხირვ მეტნაკლებად ერთიანი ტერიტორიაა.

ყოველი კონტინენტის ბუნება, მის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობა, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრება ამ დიდი სახმელეთო სივრცის ცალკეულ ადგილებში განსხავებულია. დროთა განმალობაში ჩამოყალიბდა საერთო ნიშნების მატარებელი მსხვილი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვერეგიონები ანუ სუბრეგიონები. ახლო წარსულში გლობალურ მსოფლიოს ყოფდნენ ძველ და ახალ სამყაროდ. ძველი სამყარო მოიცავდა ისტორიული თვალსაზრისით უძველესი დროიდან ცნობილ 3 კონტინენტის მნიშველოვან ტერიტორიებს: აფრიკა, ევროპა და აზია, ხოლო ახალი XVI საუკუნამდე ჯერ კიდევ უცნობ ამერიკას. დღეისდღეობით მსოფლიოს დაყოფა მსხვილ რეგიონებად სხვადასხვა ფაქტორებსწ ემყარება, მაგალითად: კონტინენტურს, ეკონომიკურს, კულტურულს, ლინგვისტურს და ა.შ. სწორედ ამ კრიტერიუმებით ხდება დღევანდელი გლობალური სამყაროს დაყოფა მსხვილ რეგიონებად.

მსოფლიოს რეგიონალური დაყოფა გაეროს მიხედვით

აფრიკა

- **სუბრეგიონები გაეროს მიხედვით:**
    - ჩრდილოეთი აფრიკა, დასავლეთი აფრიკა, შუა (ცენტრალური) აფრიკა, აღმოსავლეთი აფრიკა, სამხრეთი აფრიკა

- **სუბრეგიონები გეოგრაფიულად:**

    - ჩრდილოეთი აფრიკა: მაღრიბი (მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ლიბია, მავრიტანია და დასავლეთ საჰარა), საჰელი (სენეგალი, სამხრეთ მავრიტანია, მალი, ბურკინა–ფასო, ნიგერი, ნიგერიის ჩრდილოეთი, ჩადი, სუდანი, ეთიოპიის ცრდილოეთი და ერითრია), საჰარის სამხრეთი აფრიკა, დასავლეთი აფრიკა, აღმოსავლეთი აფრიკა, აფრიკის რქის ქვეყნები (სომალის ნ/კ, მოიცავს: ერითრია, ჯიბუტი, ეთიოპია, სომალი), ცენტრალური აფრიკა, კონგო, სამხრეთი აფრიკა, სუდანი (როგორც რეგიონი)

ჩრდილოეთი აფრიკა მდებარეობს აფრიკის კონტინენტის ყველაზე ფართო ნაწილში. გეოპოლიტიკურად, გაეროს განსაზღვრებით მასში შედიან:

- ალჟირი, ეგვიპტე, ლიბია, მავრიტანია, მაროკო, სუდანი, ტუნისი

სამხრეთი აფრიკა — გეოგრაფიული რეგიონი, აფრიკის კონტინენტის სამხრეთი ნაწილი. აერთიანებს როგორც კონტინენტის რამდენიმე სახელმწიფოს, ასევე კუნძულოვან სახელმწიფოებს, რომლებიც აფრიკის ნაწილად განიხილება.

გაეროს გეოგრაფიული რეგიონების სქემაში, სამხრეთ აფრიკაში წარმოდგენილია ხუთი ქვეყანა:

- ბოტსვანა, ლესოთო, ნამიბია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სვაზილენდი

სამხრეთ აფრიკის საბაჟო კავშირი (SACU), შეიქმნა 1969 წელს, როგორც გაეროს სუბრეგიონი ისიც აგრეთვე 5 წევრისგან შედგება.

დასავლეთი აფრიკა მდებარეობს აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში. მის შემადგენლობაში შედის 16 ქვეყანა და მოიცავს დაახლოებით 5 მილიონ კვადრატულ კილომეტრს. დასავლეთი აფრიკის ქვეყნებია:

ბენინი, ბურკინა ფასო, კოტ-დივუარი, კაბო-ვერდე; გამბია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ლიბერია, მალი, მავრიტანია,,ნიგერი, ,ნიგერია, სენეგალი, სიერა ლეონე, ტოგო

აღმოსავლეთი აფრიკა აფრიკის კონტინენტის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე რეგიონია, რომელსაც გეოგრაფია და გეოპოლიტიკა განსაზღვრავს. გაეროს გეოგრაფიული რეგიონების სქემის მიხედვით მასში 19 ტერიტორია შედის:

- კენია, ტანზანია, და უგანდა – აღმოსავლეთ აფრიკის თანამეგობრობა (EAC)
- ჯიბუტი, ერიტრეა, ეთიოპია, და სომალი – აფრიკის რქა
- ბურუნდი და რუანდა – EAC-ის წევრები 2007 წლის 18 ივნისიდან, ხანდახან ცენტრალურ აფრიკად მოიაზრებიან
- მოზამბიკი და მადაგასკარი – ხანდახან სამხრეთ აფრიკად მოიაზრებიან
- მალავი, ზამბია, და ზიმბაბვე – ხშირად მოიაზრებიან სამხრეთ აფრიკის ნაწილად
- კომორის კუნძულები, მავრიკი, და სეიშელი – მცირე კუნძული-ქვეყნები ინდოეთის ოკეანეში

- რეიუნიონი და მაიოტი – საფრანგეთის ტერიტორიები ინდოეთის ოკეანეში

გეოგრაფიულად, ეგვიპტე და სუდანიც ხანდახან ამ რეგიონში მოიაზრება.

ცენტრალური აფრიკა მდებარეობს აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში. მის შემადგენლობაში შედიან ქვეყნები:

- ანგოლა, გაბონი, კამერუნი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კონგოს რესპუბლიკა, სან-ტომე და პრინსიპი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, გვინეა, ცენტრალური აფრიკის ქვეყნები

ამერიკა

ჩრდილოეთი ამერიკა

- **სუბრეგიონები გაეროს მიხედვით:**
    - ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, ცენტრაკური ამერიკა, კარიბის რეგიონი
- **სუბრეგიონები გეოგრაფიულად:**
    - კანადის არქტიკა, დიდი ყურეები, დიდი ვაკეები, დიდი ტბები, დიდი ანტილიის კუნძულები, მცირე ანტილიის კუნძულები

სამხრეთი ამერიკა

- **სუბრეგიონები გეოგრაფიულად:**
    - ალტიპლანო (ანდების მაღალთიანი რეგიონი, მოიცავს: არგენტინის, ჩილეს, ბოლოვიისა და პერუს ტერიტორიებს), ამაზონის აუზი, ანდები, სამხრეთ ამერიკის კარიბის ზღვის სანაპირო და კუნძულები, დიდი ჩაკო (ლა–პლატის დაბლობის ნაწილი, მოიცავს აღმოსავლეთ ბოლოვიას, პარაგვაის, ჩრდილოეთ არგენტინას და ბრაზილიის შტატებს მატო კროსოს და მატო კროსო დე სულს) , გვიანას მთიანეთი, პამპა, პენტენალი (ბარზილიის მთიანეთის დასავლეთით მდებარე ტროპიკული სარტყლის მიწები) , პატაგონია

ჩრდილოეთი ამერიკა — კონტინენტი დედამიწის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებში. სამხრეთი ამერიკასთან ერთად ქმნის ამერიკას. ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებია: კანადა, აშშ, მექსიკა.

სამხრეთი ამერიკა — კონტინენტი დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროსა და, ძირითადად, სამხრეთ ნახევარსფეროში;

ლათინური ამერიკა (ესპ.: América Latina, Latinoamérica; პორტუგ.: América Latina; ფრანგ.: Amérique latine; ინგლ.: Latin America) რეგიონი, რომელიც მდებარეობს დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში და გადაჭიმული აშშ-ს სამხრეთი საზღვრიდან ანტარქტიკამდე; სამხრეთით ესაზღვრება სამხრეთის ოკეანე, აღმოსავლეთით ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით აშშ, დასავლეთით წყნარი ოკეანე.

თავდაპირველად ტერმინი ლათინური ამერიკა თავის თავში გულისხმობდა (და ლინგვისტური და ნაწილობრივ ეთნიკური თვალსაზრისით დღესაც გულისხმობს) ამერიკის იმ ნაწილს სადაც სასაუბრო ენა იყო რომანული ენები ანუ ესპანური, პორტუგალიური და ფრანგული; მაგრამ დღეს რეგიონს ძირითადად კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით გამოარჩევენ და აშშ-სა და კანადის გარდა მთელ მატერიკზე ვრცელდება.

ლათინური ამერიკის ტერიტორია 21 მილიონ კვ.კმ.-ს მოიცავს, რაც მთელი ხმელეთის 15%-ია, ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დიდ სამეულზე ბრაზილია-მექსიკა-არგენტინაზე მოდის. ლათინურ ამერიკაში 34 სუვერენული სახელმწიფოა და 15 კოლონია, რომელთა ძირითადი ნაწილი პატარ-პატარა კუნძულებია და კარიბის ზღვის ზონაში მდებარეობენ. კოლონიათა უდიდეს ნაწილს ამერიკის აღმოჩენის შემდეგ აქ ესპანეთი ფლობდა, რომელსაც კონკურენციას მხოლოდ პორტუგალია უწევდა, ხოლო მათთან შედარებით მცირე სამფლობელოები საფრანგეთს, გაერთიანებულ სამეფოს, ჰოლანდიას, შვედეთს და დანიას ჰქონდათ. თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე მხოლოდ 4 კოლონიზატორი ქვეყნის ტერიტორიებია:საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ს და ნიდერლანდის. ყველაზე მეტი კოლონია გაერთიანებულ სამეფოს აქვს, თუმცა ფართობის თვალსაზრისით საფრანგეთი პირველობს.

ლათინური ამერიკის სუბრეგიონებად დაყოფის მრავალი ვარიანტი არსებობს, თუმცა ყველაზე მიღებული მისი 4 ნაწილად დაყოფაა:

- **ჩრდილოეთი ამერიკა** - 1 დამოუკიდებელი სახელმწიფო: მექსიკა.
- **ცენტრალური ამერიკა** - 7 დამოუკიდებელი სახელმწიფო: ბელიზი, გვატემალა, სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა, კოსტა რიკა, პანამა.
- **სამხრეთი ამერიკა** - 12 დამოუკიდებელი და 2 დამოკიდებული ტერიტორია: კოლუმბია, ვენესუელა, გაიანა, სურინამი, ბრაზილია, ეკვადორი, პერუ, ბოლივია, ჩილე, პარაგვაი, არგენტინა, ურუგვაი, *საფრანგეთის გვიანა,ფოლკლენდის კუნძულები.*
- **კარიბები** - 14 დამოუკიდებელი და 13 დამოკიდებული ტერიტორია: ბაჰამის კუნძულები, კუბა, ჰაიტი, დომინიკელთა რესპუბლიკა, იამაიკა, სენტ კრისტოფერი და ნევისი, ანტიგუა და ბარბუდა, დომინიკა, სენტ ლუსია, ბარბადოსი, სენტ ვინსენტი და გრენადინები, გრენადა, ტრინიდადი და ტობაგო, *პუერტო რიკო, არუბა, ნიდერლანდის ანტილები , სენ-მარტინი, სენ-ბართელმი, ტერქსისა და კაიკოსის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ვირჯინის კუნძულები, ანგილია, მონსერატი, გვადელუპა, მარტინიკა.*

ცენტრალური ამერიკა — რეგიონი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის, რომელიც გეოლოგიურად და გეოგრაფიულად ჩრდილოეთი ამერიკის კონტინენტს ეკუთვნის. ისტორიულად ცენტრალური ამერიკა ხშირად განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ნაწილი (რეგიონი). ცენტრალური ამერიკის გაბატონებული ენაა ესპანური. ერთადერთ გამონაკლისად ითვლება ინგლისურენოვანი ბელიზი. რეგიონის მოსახლეობა წარმოდგება ადგილობრივი ინდიელებისგან, ასევე ევროპელებისა და მათ მიერ ჩამოყვანილი აფრიკელი მონების შთამომავლებისგან.

კარიბები, ასევე **ვესტ-ინდოეთი** (ესპ.: Caribe; ფრანგ.: Caraïbes; ჰოლ.: Caraïben; პორტუგ.: Caribe ან Caraíbas) — რეგიონი ამერიკაში, შედგება კარიბის ზღვის, მისი კუნძულებისა და გარშემო კონტინენების ნაპირებისგან. რეგიონი ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ცენტრალური ამერიკის აღმოსავლეთით და სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთში.

აზია

- **სუბრეგიონები გაეროს მიხედვით:**
    - დასავლეთი აზია, ცენტრალური აზია, სამხრეთი აზია, აღმოსავლეთი აზია, სამხრეთ–აღმოსავლეთი აზია, ჩრდილოეთი აზია

- **სუბრეგიონები გეოგრაფიულად:**
    - ცენტრალური აზია
    - სამხრეთ–დასავლეთი აზია: არაბეთის ნახევარკუნძული , მცირე აზია, კავკასია, ლევანტი (ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, მოიცავს: სირია, ლიბანი, პალესტინა, იორდანია, ეგვიპტე, თურქეთი და სხვ.) , მესოპოტამია, ქურთისტანი, ირანის პლატო (მთიანეთი)
    - ჩრდილოეთი აზია (ციმბირი)
    - ჩრდილო–აღმოსავლეთი აზია
    - აღმოსავლეთი აზია
    - სამხრეთი აზია (ინდოეთის სუბკონტინენტი); ჰიმალაის ქვეყნები, ინდ–განგის დაბლობი , დეკანის ზეგანი/ ინდოსტანის ნ/კ, ინდოეთის ოკეანის კუნძულოვანი ქვეყნები და ტერიტორიები , სამხრეთ ინდოეთ, ჩრდილოეთ ინდოეთი, აღმოსავლეთ ინდოეთი, ჩრდილო–აღმოსავლეთ ინდოეთი, დასავლეთ ინდოეთი
    - სამხრეთ–აღმოსავლეთი აზია:, ზღვისპირა/მალაის არქიპელაგი იგივე მალაიზია, კონტინენტური/ ინდოჩინეთი და მალაკას ნახევრკუნძული

- **სხვა დაყოფით:**
    - შორეული აღმოსავლეთი, შუა აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთი

ცენტრალური აზია — ბუნებრივი რეგიონი აზიაში, ტერმინზე ზუსტი შეთანხმება არ არსებობს. როგორც წესი, იგი მოიცავს მხარეებს:

- *ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები*: ყაზახეთი (მცირე ევროპული ნაწილის გამოკლებით), უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი. ეს უკანასკნელი ოთხი ქვეყანა შუა აზიის რეგიონად მოიხსენიებოდა.
- *აზიის შიგამატერიკული რაიონები*: ავღანეთი, დასავლეთი ჩინეთი და მონღოლეთი.

ფართობი დაახლოებით 6 მლნ კვ.კმ. ზეგნები და დაბლობები ქმნიან ორ ძირითად იარუსს, საშუალო სიმაღლე 500-1500 მ (გობი, ალაშანი, ორდოსი, ჯუნგარის და ტარიმის დაბლობები) და 4000-4500 მ (ტიბეტის ზეგანი), რომლებიც გაყოფილია და

შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით — ტიან-შანი, კუნლუნი, ნანშანი, ყარაყორუმი და სხვა. კლიმატი მკვეთრად კონტინენტურია, ნალექები დაბლობში 50-200 მმ-ია, მთებში — 500-1000 მმ წლიურად. რეგიონში ჭარბობს უდაბნოები და ნახევარუდაბნოები, ტიბეტის ზეგანზე - ცივი უდაბნოები.

აღმოსავლეთი აზია - აზიის ნაწილი, რომელიც ესაზღვრება წყნარ ოკეანეს ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ სარტყლებში ჩ.გ. 20-დან 60 გრადუსამდე. რელიეფი ძირითადად დაბლობია, შეხამებული მთებთან. კლიმატი მუსონურია. ჩრდილოეთი ნაწილი წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეებით, სამხრეთი - სუბტროპიკული და ტროპიკული ტყეებით. რეგიონი მოიცავს რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის აღმოსავლეთ რაიონებს, იაპონიას, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას.

ჩრდილოეთი აზია აღნიშნავს რუსეთის აზიურ ნაწილს, რომელიც ასევე ციმბირის სახელითაა ცნობილი. ზოგიერთ შემთხვევაში ჩრდილოეთ აზიას მიაკუთვნებენ ყაზახეთის ჩრდილოეთ რაიონებსაც. ტერმინი იშვიათად გამოიყენება გეოგრაფების მიერ.

სამხრეთი აზია - ბუნებრივი რეგიონი აზიაში, მოიცავს ინდოსტანის ნახევარკუნძულს და მიმდებარე კუნძულებს, ინდო-განგის ველს და მის მთიან ზოლს. ფართობი დაახლოებით 5,1 მლნ კვ.კმ. გავრცელებულია ტროპიკული ტყეები, სავანები, დასავლეთ ნაწილში - უდაბნოები. მოსახლეობა მისდევს ტროპიკულ მიწათმოქმედებას, ძირითადად დაბლობებზე. სამხრეთ აზიის ტერიტორიაზე განლაგებულია სახელმწიფოები: ბანგლადეში, ბჰუტანი, ინდოეთი, მალდივის კუნძულები, ნეპალი, პაკისტანი, შრი-ლანკა. ხანდახან სამხრეთ აზიის შემადგენლობაში შეჰყავთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიც.

დასავლეთი აზია - ბუნებრივი რეგიონი აზიაში, მოიცავს მცირე აზიის ნახევარკუნძულს, სომხეთისა და ირანის მთიანეთების დიდ ნაწილს, არაბეთის ნახევარკუნძულს, მესოპოტამიის დაბლობს და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს კვიპროსის ჩათვლით. ფართობი დაახლოებით 7,5 მლნ კვ.კმ. რელიეფში ჭარბობს ზეგნები, განაპირა მხარეებში - მთები. დიდი ადგილი უკავია უდაბნოებს, ნახევარუდაბნოებს, სტეპებს. სამხრეთ-დასავლეთ აზიის ტერიტორიაზე მოიაზრებენ შემდეგ სახელმწიფოებს:

- **მცირე აზია**: თურქეთი (ევროპული ნაწილის გამოკლებით).
- **ახლო აღმოსავლეთი**: ისრაელი, სირია, ლიბანი, იორდანია, ეგვიპტე (სინაის ნახევარკუნძული), ერაყი.
- **არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები**: საუდის არაბეთი, ქუვეითი, ბაჰრეინი, კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, იემენი.
- **ირანის პლატო**: ირანი.
- **კავკასია**: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი (უკიდურესი სამხრეთი ნაწილი).დასავლეთი აზია ხშირად სამხრეთ-დასავლეთ აზიად მოიხსენიება.

  სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია - ბუნებრივი რეგიონი აზიაში, მოიცავს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულს, მალაის არქიპელაგს და მიმდებარე კუნძულებს. ფართობი დაახლოებით 4,5 მლნ კვ.კმ. რელიეფი საშუალომთიანი და დაბლობია. გავრცელებულია ტროპიკული ტყეები და სავანები. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიაზე

განლაგებულია სახელმწიფოები: ბრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, მიანმარი, სინგაპური, ტაილანდი, ხშირად აგრეთვე ფილიპინები. ხანდახან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები შეჰყავთ სამხრეთ აზიის შემადგენლობაში.

ევროპა

- სუბრეგიონები გაეროს მიხედვით: დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ევროპა, სამხრეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა
- ნახევარკუნძულების მიხედვით: ბალკანეთის ნ/კ, პირინეს (იბერიის) ნ/კ, აპენინის ნ/კ, სკანდინავიის ნ/კ
- სხვა დაყოფით: ბალტიის ქვეყნები, ბენილუქსის ქვეყნები, ბრიტანეთის კუნძულები, ცენტრალური ევროპა, ჩრდილოეთის ქვეყნები (სკანდინავია, (დანია, ნორვეგია და შვედეთი), ისლანდია, ფინეთი, დანიის ტერიტორიები – გრენლანდია და ფარერის კუნძულები, ვიშეგრადის ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი)

ევროპის ტერიტორიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განლაგებულია 49 სუვერენული სახელმწიფო, 2 თვითმმართველი ტერიტორია (ფარერის კუნძულები, ეკუთვნის დანიას, ალანდის კუნძულები, ეკუთვნის ფინეთს) და 1 დამოკიდებული ტერიტორია (გიბრალტარი).

[1] განსაზღვრების თანახმად, რომელიც კავკასიონს აკუთვნებს ევროპას, ეს ქვეყნები ევროპაში მოიაზრებიან.
[2] ყაზახეთის ევროპული ტერიტორია მდებარეობს მდინარე ურალის დასავლეთით.
[3] ურალის მთების დასავლეთით მდებარე რუსეთის ტერიტორია ევროპას მიეკუთვნება
[4] ევროპული თურქეთი მოიცავს ტერიტორიას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დასავლეთით და ჩრდილოეთით.

დასავლეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. მისი შინაარსი ხშირად იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის გულისხმობდა საფრანგეთს, ბენილუქსის ქვეყნებს - ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი, დიდ ბრიტანეთს და ირლანდიას. ამ ჯგუფს, როგორც წესი, ხშირად აკუთვნებდნენ გერმანიასაც, თუმცა გეოგრაფიულად ის უფრო ცენტრალური ევროპის ნაწილია.

სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების გამო დასავლეთ ევროპაში შეჰყავდათ აგრეთვე შემდეგი ქვეყნებიც:

- იბერიის ნახევარკუნძულის ქვეყნები - ესპანეთი, პორტუგალია, ანდორა.
- აპენინის ნახევარკუნძულის ქვეყნები - იტალია, სან-მარინო, ვატიკანი.
- ჩრდილოეთის ქვეყნები - ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ისლანდია.
- ალპური ქვეყნები - შვეიცარია, ლიხტენშტაინი, ავსტრია, სლოვენია.
- სამხრეთის ქვეყნები - საბერძნეთი, თურქეთი.

ცენტრალური ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. ცენტრალური ევროპა არ არის ისეთი დამკვიდრებული ტერმინი, როგორც დასავლეთი ან აღმოსავლეთი ევროპა. ცივი ომის დასრულებისა და ევროპის გაფართოების გამო

ევროპის ცენტრმაც აღმოსავლეთით გადაინაცვლა. ამჟამად მასში ქვეყნების ორი ჯგუფი მოიაზრება:

- ალპური ქვეყნები - გერმანია, შვეიცარია, ლიხტენშტაინი, ავსტრია, სლოვენია.
- ვიშეგრადის ქვეყნები - პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი.

აღმოსავლეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. დასავლეთ ევროპის მსგავსად, ტერმინი აღმოსავლეთი ევროპა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ჩვეულებისამებრ, ამ ტერმინში იგულისხმება დსთ-ს ევროპული ქვეყნები: რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი. ყველაზე ხშირად მათ რიცხვს მიაკუთვნებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს - საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს, თუმცა ისინი გეოგრაფიულად აზიაში მდებარეობენ.

ცივი ომის ეპოქაში, აღმოსავლეთ ევროპაში შედიოდნენ ვარშავის პაქტის ქვეყნები (პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი), ხშირ შემთხვევაში ალბანეთი და იუგოსლავია, აგრეთვე ბალტიის საბჭოთა რესპუბლიკები (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა. ამჟამად, სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში ამ რეგიონს შეიძლება მიაკუთვნონ ე.წ. "ვიშეგრადის ჯგუფის" (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი) და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოები (საბერძნეთის გარდა).

ჩრდილოეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. ტრადიციულად ჩრდილოეთი ევროპა გულისხმობს სკანდინავიის ქვეყნებს (ფართო გაგებით): ნორვეგია, შვეცია, ფინეთი, დანია, ისლანდია. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მათ რიცხვს მიემატა ბალტიის 3 ქვეყანა: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა. ეს არის ამ ტერმინის პოლიტიკური მნიშვნელობა.

წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩრდილოეთი ევროპა გაცილებით დიდი არეა, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ალპების ჩრდილოეთით. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ჩრდილოეთ ევროპაში, გარდა ზემოხსენებული ქვეყნებისა, შედის:

- ბრიტანეთის კუნძულები - დიდი ბრიტანეთი, ირლანდია.
- ბენილუქსის ქვეყნები - ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი.
- საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაწილი.
- გერმანია.
- პოლონეთი - ნაწილობრივ.
- რუსეთის ევროპული ნაწილის უდიდესი ნაწილი.

სამხრეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. სამხრეთ ევროპა აერთიანებს ქვეყანათა 4 დიდ ჯგუფს. ესენია:

- პირენეის ნახევარკუნძულის ქვეყნები - ესპანეთი, პორტუგალია, ანდორა, გიბრალტარი.
- აპენინის ნახევარკუნძულის ქვეყნები - იტალია, სან-მარინო, ვატიკანი.

- ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები - რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ალბანეთი, მაკედონია, სერბეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მონტენეგრო, კოსოვო.
- ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები - მონაკო, მალტა, კვიპროსი.

გეოგრაფიულად სამხრეთ ევროპას მიეკუთვნება აგრეთვე საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი (ე.წ. ფრანგული რივიერა} და თურქეთის ევროპული ნაწილი (ანატოლია).

ავსტრალია და ოკეანეთი

- ავსტრალაზია (იგივე ავსტრალია)

- სუბრეგიონები გეოგრაფიულად: ავსტარლიის სადედაქალაქო ტერიტორია, ახალი სამხრეთ უელსი, ჩრდილოეთის ტერიტორიები, ქვინსლენდი, სამხრეთი ავსტრალია, ტასმანია, ვიქტორია, დასავლეთი ავსტარლია, ჯერვის–ბეის ტერიტორია (ავსტრალიის სამხრეთ–აღმოსავლეთ სანაპირო)

- ოკეანეთი: მიკრონეზია, პოლინეზია, წყნარის ოკეანის სამხრეთი, წყნარის ოკეანის ჩრდილოეთი

ავსტრალაზია (ინგლ. Australasia) - მსოფლიოს რეგიონი, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ აზიის ნაწილს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და ოკეანეთის კუნძულებს.

რეგიონის შემადგენლობაში შედის ინდონეზიის, ახალი ზელანდიის და ახალი გვინეის კუნძულები. ხშირ შემთხვევაში ავსტრალაზიაში განიხილავენ მხოლოდ ავსტრალიას და ახალ ზელანდიას. ეს ტერიმინის დამკვიდრებულია 1756 წლიდან.

მელანეზია (ძვ. ბერძნ. μέλας νῆσος – შავი კუნძული) – კუნძულების ჯგუფების ერთობლიობა წყნარ ოკეანეში. ავსტრალიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.

- ფართობი: 940 000 კმ².
- მოსახლეობა: 6 500 000 ადამიანი.

მელანეზია შედგება შემდეგი კუნძულების ჯგუფისაგან:

- ახალი კალედონია, ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, ვანუატუ, ფიჯი, ბისმარკის არქიპელაგი, სანტა-კრუსი, ლოიალტი

  მოიცავს სახელმწიფოებს: სოლომონის კუნძულები , ვანუატუ, ფიჯი

მიკრონეზია (ძვ. ბერძნ. μικρός νῆσος – მცირე კუნძული) – კუნძულების ჯგუფების ერთობლიობა წყნარ ოკეანეში. შედის ოკეანეთის შემადგენლობაში.

მელანეზია შედგება შემდეგი სახელმწიფოებისაგან: ნაურუ, კირიბატი, მარშალის კუნძულები. მიკრონეზიის ფედერაციული შტატები, პალაუ

პოლინეზია (ძვ. ბერძნ. πολύς νῆσος – ბევრი კუნძული) – კუნძულების ჯგუფების ერთობლიობა წყნარ ოკეანეში. შედის ოკეანეთის შემადგენლობაში.

პოლინეზია შედგება შემდეგი სახელმწიფოებისაგან: დასავლეთი სამოა, ტონგა, ტუვალუ.

სავარჯიშო:

1. **ახალი უელსი მდებარეობს:**

   ა) არგენტინაში; ბ) ავსტარლიაში; გ) ბრაზილიაში; დ) კანადაში; ე) დიდ ბრიტანეთში.

2. **რომელი სახელმწიფოები მდებარეობს კუნძულ კალიმანტანზე:**

   ა) მალაიზია, ინდონეზია, ბრუნეი; ბ) მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი;

   გ) ბრუნეი, ვიეტნამი, ფილიპინები; დ) ინდონეზია, მიანმა, ლაოსი; ე) ლაოსი, ინდონეზია, სინგაპური

3. **რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაშია კუნძული იავა:**

   ა) ფილიპინების; ბ) ახალი ზელანდიის; გ) ინდონეზიის; დ) ახალი გვინეის;

   ე) მალაიზიის;

4. **ავსტრალიის ფედერაციული სტრუქტურა წარმოდგენილია:**

   ა) შტატებითა და ტერიტორიებით; ბ) პროვინციებით; გ) ავტონომიური რაიონებით; დ) ავტონომიური ოკრუგებით; ე) პროვინციებითა და ტერიტორიებით.

5. **ქვეყნები, რომელთა დედაქალაქებია – ანკარა, ბაღდადი, ისლამაბადი, ქაბული , ერსა და იმავე ქვეყანას ესაზღვრება. დაადგინეთ რომელ სახელმწიფოზეა საუბარი:**

   (1) აზერბაიჯანი; (2) ირანი; (3) სირია; (4) თურქმენეთი.

6. **მალაკის ნახევარკუნძულზე მდებარეობენ:**

ა) მაინმა და ლაოსი; ბ) ბუტანი და მალაიზია; გ) ტაილანდი და მალაიზია;

დ) ვიეტნამი და ტაილანდი; ე) ლაოსი და კამბოჯა.

7. **ჩამოთვალეთ ქვეყნები, რომლებიც ორ კონტინენტზე, ორ ნახევარსფეროში მდებარეობენ.**

8. დაასახელეთ კონტინენტზე მდებარე ქვეყანა, რომლის დედაქალაქი კუნძულეზე მდებარეობს.

9. რომელ კუნძულებზე გადის სახელმწიფოთა საზღვრები?

10. ჩამოთვლილი ქალაქები დაალაგეთ ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით: 1. ტაშკენტი 2. ვაშინგტონი 3. რომი 4. სტამბული?

გლობალიზაცია, გლობალური პრობლემები და საერთაშორისო ორგანიზაციები

გლობალიზაცია განიმარტება როგორც პროცესი, რომელიც არღვევს ეროვნულ საზღვრებს, აახლოებს ეროვნულ ეკონომიკებს, კულტურას, ტექნოლოგიებს, მართვას, წარმოებას და ზრდის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს.

გლობალიზაციის საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება არ არსებობს. ამ საკითხის მიმართ მეცნიერთა შეხედულებები განსხვავებულია. მაგალითად, სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები განიხილავენ გლობალიზაციის გავლენას პოლიტიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით, ისტორიულ, გეოგრაფიულ და ზოგჯერ კულტურულ სფეროებზეც. ზოგი საუბრობს ტექნოლოგიურ გლობალიზაციაზე, პოლიტიკურ გლობალიზაციაზე და ეკონომიკურ გლობალიზაციაზე. ეკონომისტები სარგებლობენ მიღებული განსაზღვრებით, რომელშიც იგულისხმება საქონლის, კაპიტალისა და შრომის ბაზრების საერთაშორისო ინტეგრაცია (Вორდო ეტ ალ., 2003).

,,ეკონომიკური გლობალიზაცია არის ტენდენცია მიმართული საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიის, ინფორმაციის, შრომისა და კაპიტალის საერთაშორისო ინტეგრაციისკენ ანუ პროცესი, რომელიც ინტეგრაციას განაპირობებს. ტერმინი გლობალიზაცია პირველად თეოდორ ლევიტმა წარმოადგინა ჰარვარდ ბიზნესრევიუში გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში, ხოლო 1999 წელს დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაჩნდა ახალი სიტყვა ,,გლობალურობა“, რაც იმ დროს შეხვედრის მთავარი თემა გახდა.

მარტივი განმარტებით, გლობალიზაცია ნიშნავს ერთ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ასახვას სხვა ქვეყნებზე, რაც მათი ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგადახლართვის შედეგია. ქვეყნის გლობალურ სისტემაში ინტეგრირების საკითხების შესწავლისას ვსარგებლობთ ცალკეული მაჩვენებლებით, რომლებიც

ცალსახად გამოხატავს კონკრეტულ სფეროში ქვეყნის დანარჩენ მსოფლიოსთან დამოკიდებულების ხარისხს. უკანასკნელ წლებში შემუშავდა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მაჩვენებლებს. აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის გლობალიზების დონის დადგენა, პოტენციალის და გლობალიზაციის პროცესიდან საფრთხეების შეფასება.

ამრიგად, გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის დრამატული ზრდით. ის ასევე ასახავს ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას ბარიერთა რღვევისა და ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდის შედეგად. სპეციფიურად, ეკონომიკურ კონტექსტში ის ხშირად იგულისხმება როგორც ვაჭრობის პირდაპირი შედეგი, განსაკუთრებით, სავაჭრო ლიბერალიზაციის ანუ „თავისუფალი ვაჭრობის“ შედეგი. 1910 და 1950 წლებს შორის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდატეხებმა დროებით მკვეთრად შეამცირა საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნლობა და მოცულობა. მაგრამ დაწყებული პირველი მსოფლიო ომიდან, გაგრძელებული მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა (საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ, en:IMF) და GATT (en:GATT)), გლობალიზაციის კურსი პოლარულად შეიცვალა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების ხანაში, საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 70-იან წლებში ამგვარი ვაჭრობის ეფექტი უკვე საგრძნობი გახდა ისევე, როგორც სარგებლის მომტანი, ასევე დამთრგუნველი ეფექტებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ასპექტი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული, მნიშვნელოვანია გლობალიზაციის თითოეული ასპექტის — ეკონომიკურის, პოლიტიკურისა და კულტურულის — მნიშვნელობის განსაზღვრა. დამატებით მნიშვნელოვანი ასპექტია ასევე ტექნოლოგიური ცვლილებანი, განსაკუთრებით ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში, რაც, როგორც ამტკიცებენ, უშუალოდ მონაწილეობს გლობალური სოფლის შექმნაში.

გლობალიზაციას ზოგადად უზარმაზარი სარგებელი მოაქვს ქვეყნებისა და მოსახლეობისთვის. საერთაშორისო კავშირები ერებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მოგება სპეციალიზაციიდან და წარმოების მასშტაბის ეფექტის ეკონომიიდან. იგი ამაღლებს მწარმოებლურობას, ეხმარება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების განვრცობას, აუმჯობესებს მომხმარებელთა არჩევანის დიაპაზონს. გლობალიზაციის შედეგად ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები ისე მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რომ მსოფლიომ ,,პატარა სოფლის“ მახასიათებლები შეიძინა. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკაში ღრმა ინტეგრაციის და გლობალიზაციის თემა ყოველთვის და ყველგან პოპულარული არ არის.

გლობალიზაციის ერთ_ერთი მაჩვენებელია ე. წ. „გლობალიზაციის KOFინდექსი“, რომელიც შემუშავდა 2002 წელს და განახლდა და დეტალურად გაიწერა 2006 წელს დრეჰერის (Dრეჰერ), გასტონის (Gასტონ) და მარტენსის (Mარტენს) მიერ. ეს საყოველთაო ინდექსი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის სიდიდეს ზომავს. გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით, ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ინფორმაციის ნაკადების და ცვლილებების შორ მანძილზე გადატანა; პოლიტიკური გლობალიზაცია განისაზღვრება, როგორც სამთავრობო პოლიტიკების დიფუზია, ხოლო სოციალური გლობალიზაცია _ იდეების, ინფორმაციის, ადამიანური ურთიერთობების განვრცობა გაფართოება.

თავის მხრივ, ეკონომიკურ გლობალიზაციას ორი მხარე აქვს: პირველი, რეალური ეკონომიკური ნაკადების მოცულობა (როგორიც არის ვაჭრობის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობები) და შეზღუდვები (ტარიფები, გადასახადები და სხვა ბარიერები საერთაშორისო ვაჭრობაში და საინვესტიციო ნაკადების გზაზე).

ა) ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებლები და ინდექსები რეალური ნაკადების ნაწილში მოიცავს: ვაჭრობას (მშპ_ს პროცენტული ნაწილი), პუი_ს ნაკადებს (მშპ_ს პროცენტული ნაწილი), პუი_ს აქციებს (მშპ_ს პროცენტული ნაწილი), პორტფელურ ინვესტიციებს (მშპ_ს პროცენტული ნაწილი), უცხოელებიდან მიღებულ შემოსავლებს გადახდებიდან (მშპ_ს პროცენტული ნაწილი). შეზღუდვები მოიცავს: საიმპორტო ბარიერებს, სატარიფო განაკვეთს, გადასახადებს საერთაშორისო ვაჭრობაზე (მიმდინარე შემოსავლების პროცენტული ნაწილი), კაპიტალის ანგარიშების შეზღუდვებს.

ბ)სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლები მოიცავს:

_ პიროვნული კონტაქტების მაჩვენებლებს: სატელეფონო კავშირებს, ტრანსფერს (მშპ_ს პროცენტული ნაწილი), საერთაშორისო ტურიზმს, უცხოელ მოსახლეობას (მთლიანი მოსახლეობის პროცენტული ნაწილი), საერთაშორისო წერილებს (ერთ სულზე);

_ საინფორმაციო ნაკადების მაჩვენებლებშია: ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა (1000 ადამიანზე); ტელევიზორი (1000 ადამიანზე); გაზეთებით ვაჭრობა (მშპ_ს პროცენტული ნაწილი).

_ კულტურული სიახლოვის მონაცემებში შედის: მაკდონალდსის რესტორნების რიცხვი (ერთ სულზე); იკეას ფილიალების რაოდენობა (ერთ სულზე); წიგნებით ვაჭრობა (მშპ_ს პროცენტული ნაწილი).

გ) პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლებშია: ქვეყანაში საელჩოების რაოდენობა; საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა; გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მისიის წევრობა; საერთაშორისო ხელშეკრულებები.

წარმოდგენილი ინდექსები პროცენტულ გამოხატულებაშია. შესაბამისად, მაღალი პროცენტი მიუთითებს გლობალიზაციის მაღალ ხარისხს. მაჩვენებლები ყოველწლიურად გაითვლება 158 ქვეყნის მიხედვით.3 მონაცემები ეფუძნება მსოფლიო

ბანკის საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს კონფერენციის ვაჭრობისა და განვითარების შესახებ წლიურ ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო კავშირის და საფოსტო სტატისტიკის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის და სხვა საინფორმაციო წყაროებს. გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით, ქვეყნების რეიტინგებში პირველ ათეულს იკავებენ ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, დანია, კანადა, ლუქსემბურგი და უნგრეთი. აღნიშნული ქვეყნების გლობალიზაციის მაჩვენებლები მოძრაობს 91,51 %_სა და 85,15 %_ს შორის. გლობალიზაციის KOFინდექსის მიხედვით, საქართველო 90_ე ადგილზეა (59,85%) (შესაძლებელია პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ აღნიშნულ რეიტინგში ჩინეთი 91_ე ადგილზეა).

ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებლების მიხედვით პირველ ათეულში არიან სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდები, ესტონეთი, უნგრეთი, ბახრეინი, შვედეთი. ინდექსის მაჩვენებელი 96,67%_სა და 88,11%_ს შორის იცვლება. საქართველო 51_ე ადგილზეა (69,43%).

სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლების მიხედვით ლიდერობენ ლუქსემბურგი, შვეიცარია, ირლანდია, ანტიგუა და ბარბუდა, კვიპროსი, Pპუერტო_რიკო, სინგაპური, ავსტრია, გრენადა და ბელგია. სოციალური გლობალიზაციის ინდექსი წამყვანი ათეული ქვეყნისთვის 93,87%_სა 88,12%_ის ფარგლებში იცვლება. საქართველო აღნიშნული მაჩვენებლით 83_ე ადგილზეა (58,94%). საქართველოს მოჰყვება იაპონია, ტირნიდადი, ნიკარაგუა და ა.შ.

პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლებით წამყვან ათეულში არიან საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ავსტრია, შვედეთი, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა, აშშ და პოლონეთი. პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსი 89,03%_სა და 93,88% შორის მოძრაობს. საქართველო 138_ე ადგილზეა 46,08%_ით. რეიტინგში საქართველოს მოჰყვებიან ჰაიტი, პაპუა_ახალი გვინეა, ავღანეთი და სხვ.

ამრიგად, გლობალიზაციის KOFინდექსის მიხედვით, წამყვან პოზიციებს ძირითადად მცირე, მაგრამ განვითარების მაღალი დონის ქვეყნები იკავებენ, რაც იმას მიუთითებს, რომ გლობალიზაცია მიმზიდველი და მომგებიანია მცირე ქვეყნებისთვის, თუ ისინი მის დადებით ეფექტებს თავის სასარგებლოდ გონივრულად გამოიყენებენ. მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ მსოფლიო სისტემაში საქართველოს ინტეგრირება ეკონომიკურ გლობალიზაციაზე გადის, რაც ზრდის ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს და საგარეო ბაზრებზე დამოკიდებულებას.

შვეიცარიული ეკონომიკის ინსტიტუტი მსოფლიო 2011 წლის გლობალიზაციის ინდექსს აქვეყნებს, სადაც საქართველო 156 ქვეყანას შორის 74-ე პოზიციას იკავებს. რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოზე წინ მოლდოვა (63), თურქეთი (59), უკრაინა (53) და რუსეთი (52) არიან. რეიტინგის სათავეში ევროპული ქვეყნები – ბელგია, ავსტრია და

ნიდერლანდები უდგანან, აუტსაიდერებში კი ტრადიციულად აფრიკული და ოკეანიის ქვეყნები იმყოფებიან.

ინდექსი სამი მთავარი კომპონენტისგან შედგება - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაცია. ყველაზე კარგი მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის კომპონენტშია, სადაც 33-ე პოზიციაზე იმყოფება და რეგიონის ქვეყნებში პირველია, ამ კომპონენტის ლიდერი სინგაპური და ლუქსემბურგია. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები საქართველოს საიმპორტო ბარიერების სიმცირეში, გადასახადების მცირე რაოდენობასა და დაბალ საგადასახადო განაკვეთებში აქვს, ეკონომიკური გლობალიზაცია ვაჭრობის, პირდაპირ და პორტფელური ინვესტიციების მოცულობასაც ითვალისწინებს.

სოციალური გლობალიზაციის მიმართულებით საქართველო 98-ე, პოლიტიკური გლობალიზაციის მიმართულებით კი 139-ეა. სოციალური გლობალიზაცია საერთაშორისო სატელეფონო ტრაფიკს, ინტერნეტის, წიგნების, გაზეთების და სხვა საინფორმაციო წყაროების გავრცელების ხარისხს, ასევე საერთაშორისო ბრენდების წარმომადგენლობების რაოდენობას ითვალიწინებს. პოლიტიკური გლობალიზაცია კი ქვეყანაში უცხოეთის საელჩოების რაოდენობას, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობას და სხვა ქვეყნებთან გაფორმებული შეთანხმებების რიცხვს ითვლის.

გლოსალიზაცია (იგივე გლოკალიზაცია) (*ინგ. Glocalization* **)** – გლობალიზაციის რეგიონალური სცანარია. გლოსალიზაცია ეს გლობალიზაციის საყოველთაოდ გავრცელებული ვარიანტია და ნიშნავს გლობალიზაციის გავრცელებას ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური თუ ეროვნული კულტურების გათვალისწინებით. ტერმინი ჩვეულებრივ გამოიყენება იმ პროდუქტსა თუ მომსახურებასთან მიმართებაში, რომლების შემუშავებულია და გავრცელებულია გლობალურად, თუმცა ასევე გათვალისწინებულია ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებისა და მომხმარებლის თავისებურებები. გლობალიზაციის რეგიონალური სცენარია. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი და მომსახურება შექმნისას თუ შეთავაზებისას უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ კანონებს, ტრადიციებს ან მომხმარებლის მოთხოვნებს. პროდუქტი და მომსახურება, რომლებიც ეფექტურად არის გლოსალიზებული, საბოლოო ჯამში მომხმარებლისთვის დიდი ინტერესს წარმოადგენს. გლოსალიზაციის საუძველს დეცენტრალიზირებული და „ სამართლიანი“ მსოფლიოს იდეა წარმოადგენს. გლოსალიზაციის მოდელების შემუშავებისას გათვალისწინებულია თვითორგანიზაციის და კულტურათაშორისი კომუნიკაციების ქსელური ფორმები. პირველი გლოკალური ორგანიზაცია Glocal Forum 2001 წელს დაარსდა და მისი მიზანია მსოფლიოს განვითარების დაჩქარება ადგილობრივობის განვითარებისა და ლოკალური პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. Yahoo! – ეს არის კომპანია, რომელიც პრაქტიკაში ატარებს გლოსალიზაციას. ის ბაზარს სთავაზობს ინტერნეტ–პორტალს, რომლითაც სარგებლობს მომხმარებელი მთელი მსოფლიოდან და მათ თავისი ვებ–გვერდების სხავდასხვა ვერსიებს სთავაზობს. მაგ; მას აქვს მომსახურების

სერვისი სხვადასხვა ენაზე, ასევე საიტის შინაარს ადგენს მომხმარებლის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. ამჟამად, ბევრი სახელმწიფო და კერძო კომპანია იყენებს გლოსალიზაციას, რათა თავის კლიენტებს შეუქმნას ბაზები და გაუზარდოს მოგება.

გლობალური პრობლემების ჩამონათვალი:

ეკოლოგიური: ოზონის ხვრელი, სათბურის ეფექტი (გლობალური დათბობა), ტყეების გაჩეხვა, გარემოს დაბინძურერება: ატმოსფეროს, პედოსფეროს, მსოფლიო ოკეანის წყლების, საკვები პროდუქტების; სტიქიური კატასტროფები: ტაიფუნები, ცუნამი, ქარიშხლები, მიწისძვრები, წყალდიდობები, გვალვა; გარემოში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია კოსმოსისა და მსოფლიოს ოკეანის ათვისებასთან.

ეკონომიკური: სასურსათო პრობლემა, ჩამორჩენილობის პრობლემა, ეკონომიკური ზრდის ზღვარის პრობლემა, რესურსების ამოწურვის პრობლემა, ეკონომიკური გლობალიზმი.

სოციალური: დემოგრაფიული პრობლემა, ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა (საშიში დაავადებების შიდსის, გრიპის, კიბოს და სხვ. გავრცელელება), განათლების პრობლემა, ეთნიკური და კონფესიათაშორისი კონფლიქტები.

სულიერი: „მასობრივი კულტურის“ დეგრადაცია, მორალური და ზნეობრივი ღირებულებების დევალვაცია, აგრესიისა და ნერვულ–ფსიქიკური დაავადებების ზრდა მ.შ. მასობრივი კომპიუტერიზაციის გამო, მეცნიერთა პასუხისმგებლობის პრობლემა საკუთარი აღმოჩენებისა და კვლევების გამო.

სავარჯიშოები:

1. მოხაზეთ სწორი პასუხი:

1. **რა სანქციები შეიძლება დაეკისროს ქვეყანას, თუ მის გამო ადგილი აქვს ეკოლოგიურ ზარალს?**

   ა) დაზარალებული სახელმწიფოს მიმართ ფულადი კომპესაცია; ბ) გარეოს წევრობიდან გარიცხვა; გ) მორალური მახარდაჭერა; დ) სანქციები არაა გათვალისწინებული

2. **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ზომებს, რომლებიც მიმართულია ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად?**

ა) რეგიონალური ინტეგრაციის ტემპების დაჩქარება; ბ) ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებზე გადასვლა; გ) რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებზე გადასვლა; დ) თანამგზავრის საშუალებით გარემოს მდგომარეობაზე კონტროლის განხორციელება;

3.რომელმა ქვეყნებმა აღიარეს ოფიციალურად, რომ ფლობენ ბირთვულ იარაღს;

ა) აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეა;
ბ) აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია, იაპონია, ერაყი.
გ) აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ისარელი, სარ–ი;
დ) აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, იაპონია, პაკისტანი, ისრაელი.

4. გლობალურ პრობლემებს არ მიეკუთვნება:

ა) ბირთვული ომის საფრთხე; ბ) ნარკომანიის გავრცელება; გ) ბუნებრივი რესურსების ამოწურვა; დ) რელიგიური იდეოლოგიის ათეიზმით შეცვლა.

5. დაადგინეთ, რომელი ორგანიზაციის ემბლემაა გამოსახული და თითოეულს მიუწერეთ რა როლს ასრულებს გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში:

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

WORLD TRADE ORGANIZATION

9. 

10.

11.

IUCN

12. GREENPEACE

13.

14.

15.

საქართველოს დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორია ისეთი ტერიტორიაა, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი, რათა დაცული იყოს აღნიშნული ტერიტორიის, როგორც ფიზიკური მახასიათებლები, ისე კულტურული მემკვიდრეობა. დასაცავი ტერიტორიის მდგომარეობა და მისი ლანდშაფტის ხასიათი განისაზღვრავს დაცვის რეჟიმს, მის ფუნქციონირებას და შესაბამისად, ბუნების დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმები: სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი, ეროვნული პარკი, ბიოსფერული რეზერვატი და სხვ. იქმნება.

დაცული ტერიტორია	მიზანი
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით
ეროვნული პარკი	ეკოსისტემების კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა)
აღკვეთილი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი ჯერ კიდევ 1912 წელს შეიქმნა. ამჟამად დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 495 892 ჰა-ა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7 %-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75 % ტყით არის დაფარული. საქართველოში 20 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 10 აღკვეთილი, 14 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია.

სახელმწიფო ნაკრძალი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. ნაკრძალი, ტერიტორიის (აკვატორიის) ნაწილია, სადაც დაცულია მთლიანი ბუნებრივი კომპლექსები. ნაკრძალად ჩვეულებრივ ცხადდება ის ადგილი, რომელიც ან ტიპობრივია ამა თუ იმ გეოგრაფიული ზონისათვის, ან შეიცავს სამეცნიერო თვალსაზრისით ძვირფას ბუნებრივ ობიექტებს (მცენარეებისა და ცხოველების სახეობებს, ლანდშაფტების ტიპებს, მინერალებს და სხვა). ნაკრძალად შეიძლება გამოცხადდეს მთელი ქალაქი ან მისი ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებული ისტორიული, ისტორიულ-მხატვრული ან მემორიალური მნიშვნელობა აქვს.

ნაკრძალი ბუნების დაცვის ერთ-ერთი ფორმაა. იგი კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, სადაც აკვირდებიან მის ცალკეულ ობიექტებს, კომპლექსებს თუ ბიოგეოცენოზებს. ნაკრძალში შეისწავლიან ნადირ-ფრინველის რაოდენობრივი ცვალებადობის გამომწვევ მიზეზებს, მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიურ თავისებურებებს; ამუშვებენ მცენარეთა და ცხოველთა აღრიცხვის მეთოდებს, ტყისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებს, ატარებენ ღონისძიებებს ბუნებრივი კომპლექსების შემოსანახავად, იშვიათად განადგურების გზაზე მდგარ მცენარეთა და ცხოველთა მოსამრავლებლად და სხვა.

საქართველოში ამჟამად 16 ნაკრძალია. მათი საერთო ფართობი 159,900 ჰა-ს შეადგენს. ნაკრძალებში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა დიდძალ მასალას იძლევა ეკონომიკური განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის.

საქართველოში 2010 წლის მონაცემებით 16 სახელმწიფო ნაკრძალია:

- bაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი, ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი, ბიჭვინთის სახელმწიფო ნაკრძალი, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი, გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი, კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი, ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი, მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი, რიწის სახელმწიფო ნაკრძალი, სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი, ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალი, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი

ეროვნული პარკი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის.

ეროვნული პარკისათვის შეიძლება შეირჩეს შედარებით დიდი ბუნებრივი სახმელეთო ტერიტორია ან/და აკვატორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობა.

ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს შემდეგი ძირითადი ზონები:

1. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა – ბუნების მკაცრი დაცვის ზონა ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამუნიციპალური მეცნიერების კვლევის და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.
2. ბუნების მართვავდი დაცვის ზონა – ბუნების მართვადი დაცვის ზონა ეწყობა სასიცოცხლო გარემოს დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის, აგრეთვე

მანიპულაციური მეცნიერული კვლევის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

3. ვიზიტორთა ზონა – ვიზიტორთა ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.
4. აღდგენის ზონა – აღდგენის ზონა ეწყობა ანთროპოლოგიური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვა-აღდგენისათვის.
5. ისტორიულ-კულტურული ზონა – ისტორიულ-კულტურული ზონა ეწყობა ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა და/ან არქიტექტურული ძეგლების დაცვა-აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის (ზონა არ მოიცავს დასახლებებს).
6. ადმინისტრაციის ზონა – ადმინისტრაციის ზონა ეწყობა ეროვნული პარკის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.
7. ტრადიციული გამოყენების ზონა – ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულად გამოყენებასათან დაკავშირებული სამეურნეო საქმია ნობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება.

ეროვნული პარკი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას (ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, მსოფლიოს მემკვიდრეობის უბანი) და/ან თვითონ ითავსებდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიის კატეგორიას.

საქართველოში 2010 წლის მონაცემებით 8 ეროვნული პარკია:

- ალგეთის ეროვნული პარკი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, თუშეთის ეროვნული პარკი, კოლხეთის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი

ბუნების ძეგლი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. ბუნების ძეგლი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიებისა და იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დასაცავად.

ბუნების ძეგლი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის შედარებით მცირე ტერიტორიას, სადაც იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეოგრაფიული და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები, ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტებია წარმოდგენილი. ბუნების ძეგლი შეიძლება შედიოდეს ნებისმიერი დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში.

<u>2010</u> წლის მონაცემებით საქართველოში 14 ბუნების ძეგლია:

- არწივის ხეობა, თეთრი მღვიმე, იაზონის მღვიმე, ნაგარევის მღვიმე, ნავენახევის მღვიმე, ოკაცეს კანიონი, ოკაცეს ჩანჩქერი, საკაჟიის მღვიმე, ტახტითეფას ტალახის ვულკანები, ყუმისთავის მღვიმე, ქვაკაცას სვეტი, ცუცხვათის მღვიმოვანი, წყალწითელას ხეობა, ხომულის მღვიმე, ჯუმას ყურე

აღკვეთილი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. აღკვეთილი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმის ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად, რაც ადამიანის მხრიდან მოითხოვს სპეციალურ აღდგენით და მოვლით ღონისძიებებს. აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარება.

აღკვეთილი საჭიროებს ეროვნულ და, ცალკეულ შემთხვევებში, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორიას ან/და აკვატორიას, სადაც ცოცხალ ორგანიზმთა იშვიათი, უნიკალური, დამახასიათებელი და „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობები და ეკოსისტემის ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტებია წარმოდგენილი.

აღკვეთილი შეიძლება შედიოდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის და სხვა დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში და ასევე მოიცავდეს ბუნების ძეგლს. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია აღკვეთილში მოეწყოს სხვადასხვა ზონა.

<u>2010</u> წლის მონაცემებით საქართველოში 10 აღკვეთილია:

- აჯამეთის აღკვეთილი, გარდაბნის აღკვეთილი, ილტოს აღკვეთილი, იორის აღკვეთილი, კაცობურის აღკვეთილი, ლაგოდეხის აღკვეთილი, ნემვის აღკვეთილი, ქობულეთის აღკვეთილი, ყორულის აღკვეთილი, ჭაჭუნის აღკვეთილი

დაცული ლანდშაფტი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრაციულ-ტურისტული, და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო ტერიტორიას და/ან აკვატორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოიჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით. დაცული ლანდშაფტი შეიძლება შედიოდეს სხვა დაცული ტერიტორიის (ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი) შემადგენლობაში ან მოიცავდეს დაცულ

ტერიტორიას (ბუნების ძეგლი). შესაძლებელია დაცული ლანდშაფტში მოეწყოს სხვადასხვა ზონა.

<u>2010</u> წლის მონაცემებით საქართველოში 2 დაცული ლანდშაფტია:

- თუშეთის დაცული ლანდშაფტი, კინტრიშის დაცული ლანდშაფტი

მარავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს ხმელეთის შედარებით დიდ ფართობს და/ან აკვატორიას, რომელიც წარმოადგენს წყლის აკუმულაციის, ტყეებისა და საძოვრების პროდუქტიულობას, ნადირობის, თევზჭერისა და ნადირ-ფრინველის გავრცელებას, აგრეთვე, ტურიზმისათვის საჭირო ბუნებრივ საფუძვლებს. დასაშვებია, იგი იყოს ნაწილობრივ სახეცვლილი და მოიცავდეს დასახელებებსაც. ტერიტორიაზე არ უნდა ხდებოdეს ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნები.

განახლებადი ბუნებრივი რესურსების მუდმივობისა და გარანტირებული მოხმარების უზრუნველსაყოფად შეიძლება ბუნების დაცვისა და მრავალმხრივი გამოყენების სხვადასხვა დასაშვები შეფარდების მქონე ზონების გამოყოფა.

სავარჯიშო:

1. **ჩამოწერეთ საქართველოში არსებული თითოეული კატეგორიის დაცული ტერიტორიის შესაბამისი დასახელებები;**

ეროვნული პარკი	აღკვეთილი	ბუნებრივი ძეგლი	ნაკრძალი	დაცული ლანდშაფტი	მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია

2. **ქვემოთ ჩამოთვლილი ბუნების ძეგლებიდან რომელი ძეგლის შეტანა არის შესაძლებელი აჭარის ტურისტული მარშრუტის შედგენისას?**

ა) გეგას ჩანჩქერი; ბ) ოკაცეს კანიონი; გ) ქვაკაცას სვეტი; დ) წყალწითელას ხეობა.

3. **ჩამოთვალეთ რა სარგებლობა მოაქვს დაცულ ტერიტორიებს და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი:**